№2-11/2015წ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

23 თებერვალი 2015 წელი დ. ლენტეხი

ლენტეხის მაგისტრატი სასამართლო
მოსამართლე როინ კახიძე

მოსარჩელე - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - ნინო წიკლაური
მოპასუხე - არსენა ქოჩქიანი
დავის საგანი - თანხის დაკისრება
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხი

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 15 დეკემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში მოპასუხე არსენა ქოჩქიანის მიმართ თანხების დაკისრების თაობაზე;

მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში არსენა ქოჩქიანს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 თებერვლის განჩინების საფუძველზე №2/ბ1178-2013 სამოქალაქო საქმეზე გაეწია ავტოტექნიკური და სასაქონლო საექსპერტო მომსახურება. გაწეული მომსახურებისათვის არსენა ქოჩქიანს არ გადაუხდია თავისი წილი შესაბამისი ტარიფით დადგენილი გადასახადი, რის გამოც მოსარჩელე ითხოვს დაეკისროს მოსასუხე არსენა ქოჩქიანს გაწეული საექსპერტო მომსახურების დარჩენილი საფასურის 75 ლარის გადახდა მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ.

ასევე მოითხოვს მოპასუხეს დაეკისროს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით.

ვინაიდან მოპასუხეზე სარჩელის გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ 2015 წლის 3 თებერვალს მიღებული იქნა განჩინება საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ.

განჩინება საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებ გვერდზე www.geocourts.ge გამოქვეყნდა 2015 წლის 3 თებერვალს, ასევე განთავსდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოში თვალსაჩინო ადგილზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელის გზავნილი, მოპასუხე არსენა ქოჩქიანს ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად მოპასუხეს დანიშნული ექვსი (10 კალენდარული) დღის ვადა 2015 წლის 20 თებერვლის ჩათვლით, მაგრამ მოპასუხე არსენა ქოჩქიანმა

შესაგებელი არ წარმოადგინა და არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის `ა-გ' ქვეპუნქტების თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე - ა) უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. გ) აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. მე-6-მე-7 ნაწილების მიხედვით, მოპასუხე ვალდებულია, თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შესაგებელი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით და უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს.

ამავე კოდექსის 232^{I}-ე მუხლით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის `ბ' ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

ზემოთ აღინიშნა, რომ სასამართლოს მიერ 2015 წლის 3 თებერვალს გამოქვეყნდა განჩინება საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელის გზავნილი მოპასუხე არსენა ქოჩქიანის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად მოპასუხეს დანიშნული ჰქონდა **10 (ათი)** დღის ვადა 2015 წლის 20 თებერვლის ჩათვლით, მაგრამ მოპასუხემ შესაგებელი არ წარმოადგინა და არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. ამასთან, არც შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის. ამიტომ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-630-ე, 316-317-ე,

361-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას. ამასთან, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით, რის გამოც მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან''.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 50 ლარი (იხ სალაროს შემოსავლის ორდერი # 46902, 04.12.2014წ, ლიბერთი ბანკი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლისა და 39-ე მუხლის საფუძველზე კი მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხის სანაცვლოდ 50 ლარის გადახდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე, 233-237-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებული იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე არსენა ქოჩქიანს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ დაეკისროს 75 (სამოსდათხუტმეტი) ლარის გადახდა;

3. მოპასუხე არსენა ქოჩქიანს მოსარჩელის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ ასევე დაეკისროს მის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხის სანაცვლოდ - 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა;

4. მოპასუხეს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში (დ. ლენტეხი აღმაშენებლის ქუჩა №17-ში) 10 (ათი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

მოსამართლე:
როინ ჯახიძე